N519 2015 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

„ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღია პროგრამა – ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა IV“ პროექტის დაფინანსებისათვის საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის დაფინანსების ხელშეკრულების დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით ხელი მოაწეროს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს შორის დაფინანსების ხელშეკრულებას (2 მილიონი ევრო) „ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღია პროგრამა – ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა IV“.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

3. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 18 დეკემბრიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი